



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

18 ივნისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №91

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი ღრობებითი კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ, შეიქმნას ღრობებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის ხელმძღვანელი – ალექო მამეშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

2. კომისიის წევრები:

ა) ილია ვაშაყმაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ბ) ირინე საჯაია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გ) მიხეილ გოგოტიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

დ) მერაბი წივწივაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი;

ე) შალვა გაბრიჩიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

ვ) თემური მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ზ) ბახვა ჩხარტიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

თ) შოთა სარიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული;

მუხლი 2. ღრობითმა კომისიამ:

ა) შეიმუშაოს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ამსახველი დასკვნა და კონკრეტული გეგმა;

ბ) დაადგინოს სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობა;

გ) დასახოს მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები და განახორციელოს ამ ღონისძიებათა შესრულების კონტროლი;

დ) მიიღოს ქმედითი ზომები მოსახლეობის დროულად დასახმარებლად;

ე) უზრუნველყოს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენა-შეფასება
თხუთმეტ კალენდარულ დღეში;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოდგინოს ანგარიში
განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის
ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი